**დამტკიცებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის**
**რექტორის 2013 წლის 7 ნოემბრის ბრძანებით #02-374**

# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში
# აკადემიურ თანამდებობათა დაკავების წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი არეგულირებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის პროცედურებსა და პირობებს.
2. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკადემიური პესრონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.
3. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
4. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.
5. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

## მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსის ჩატარების შესახებ რექტორი გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც განისაზღვრება კონკურსის ჩატარების წესი, ვადები და პირობები.
3. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.
4. ბრძანებით განისაზღვრება:
   ა) ვაკანტური ადგილები ფართო სფერო/ვიწრო სფერო/დეტალური სფეროს მიხედვით და მისაღები აკადემიური პერსონალის რაოდენობა; **(01-120, 02.10.2023)**
   ბ) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები;
   გ) წარმოსადგენი საბუთების ჩამონათვალი;
   დ) საბუთების წარმოდგენის ვადა და მისამართი;
   ე) კონკურსის ჩატარების დრო;
   ვ) კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადა.
5. აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების საფუძველია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აკადემიურ თანამდებობათა დაკავების შესახებ კონკურსის გამოცხადების შესახებ წინადადებას რექტორის სახელზე წარმოადგენს პროგრამის ხელმძღვანელი ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. **(01-68, 31.05.2017)**

## მუხლი 3. საბუთების მიმღები და საკონკურსო კომისიები

1. ვაკანტურ თანამდებობაზე შემოტანილი საბუთების აღრიცხვისა და კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება საბუთების მიმღები კომისია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შემადგენლობიდან.
2. რეგისტრირებულ კანდიდატთაგან აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც მოქმედებს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, ამ დებულებისა და უნივერსიტეტის სხვა შიდა აქტების შესაბამისად. **(01-68, 31.05.2017)**

3. საბუთების მიმღები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და წევრთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
4. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირი.
5. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მინიმუმ 5 წევრით და მასში შედიან თავმჯდომარე, რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, პერსონალის მართვის სამსახურის წარმომადგენელი. **(01-24, 11.03.2022)**

**მუხლი 4. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები**

1. პროფესორის თანამდებობაზე კანდიდატი აირჩევა 4 წლის ვადით. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტს მოეთხოვება: **(01-68, 31.05.2017)**

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ[1]) დარგში სამეცნიერო კვლევების არსებობა, ახალი სამეცნიერო/აკადემიური კადრების მომზადების ან/და დოქტორანტების ხელმძღვანელობის გამოცდილება; **(02-319, 27.07.2018) (01-15, 14.02.2020)**

გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კონცეფცია (აღწერა), რომლის განხორციელებაში მონაწილეობის სურვილიც აქვს კონკურსანტს;

დ) იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში; საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;

ე) ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია. **(02-314, 30.07.2016), (02-319, 27.07.2018)**

2. ასოცირებული-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კანდიდატი აირჩევა 4 წლის ვადით. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტს მოეთხოვება:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) სილაბუსები სასწავლო კურსის (კურსების) მიხედვით, რომელთა წაკითხვაც შეუძლია;

დ) იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში; საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;

ე) ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია. **(02-314, 30.07.2016), (02-319, 27.07.2018)**

3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე კანდიდატი აირჩევა 4 წლის ვადით. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტს მოეთხოვება:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში; საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;

გ) ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია. **(02-314, 30.07.2016), (02-319, 27.07.2018)**

4. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.
5. აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას აკადემიური ხარისხის არმქონე პირი, რომელსაც კვალიფიკაცია აქვს პროფესიული ნიშნით. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
6. მედიცინის კლინიკური მიმართულებით კანდიდატის არჩევისას დამატებითი მოთხოვნებია: პროფესორისთვის სულ მცირე ბოლო 9 წლის, ხოლო ასოცირებული და ასისტენტ პროფესორისთვის სულ მცირე ბოლო 5 წლის კლინიკური გამოცდილება. ასისტენტად კლინიკურ დისციპლინაში აირჩევა

დოქტორანტი კლინიკურ სპეციალობაში. **(01-15, 14.02.2020)**

7. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა შესაძლებელია პირის, რომელსაც კონკურსის ჩატარების დღისთვის არ შესრულებია 75 წელი. **(01-15, 14.02.2020)**

8. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხდება იმ პირობით, რომ კონკურსანტი იცნობს შესაბამისი თანამდებობისთვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მინიმალურ ვალდებულებებს (ლექცია-სემინარების ჩატარების ვალდებულება, პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა, ფაკულტეტის საბჭოში მონაწილეობა, სტუდენტების საკვალიფიკაციო და საკონფერენციო თემების ხელმძღვანელობა, სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება უნივერსიტეტის სახელით), რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალის რანგირების წესით“. **(01-15, 14.02.2020)**

9. მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის განსახორციელებლად აკადემიური პერსონალის არჩევა ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილება ან
- საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში; ან
- საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის ინგლისურ ენაზე განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში; ან
- ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით; ან
- ინგლისური ენის, სულ მცირე, B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert, EnglishScore და სხვ.) **(01-120, 02.10.2023)**

**მუხლი 5. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები**

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ერთი ფოტო სურათი 3*4;

დ) უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომების ნოტარიულად დამოწმებული ასლები. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტს ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი მიღებული აქვს უცხოეთში, სავალდებულოა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დიპლომის აღიარების დოკუმენტის წარმოდგენა. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია კანდიდატის რეგისტრაცია მოხდეს თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული უცხოური დიპლომის საფუძველზე, თუმცა აკადემიურ თანამდებობაზე არჩევიდან არაუგვიანეს 2 თვისა, ვალდებულია წარმოადგინოს აღიარების დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევის შედეგი ამ ნაწილში გაბათილდება. **(02-319, 27.07.2018)**

ე) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ან სამეცნიერო–პედაგოგიური სტაჟის დამადასტურებელი ცნობა სამუშაო ადგილიდან;

ვ) პერსონალური ინფორმაცია - CV;

ზ) ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია; **(02-314, 30.07.2016), (02-319, 27.07.2018)**

თ) სალექციო კურსების ჩამონათვალი და შესაბამისი სილაბუსები (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);

ი) იმ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კონცეფცია (აღწერა), რომლის განხორციელებაში მონაწილეობის სურვილიც აქვს კონკურსანტს (პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთათვის). **(02-314, 30.07.2016)**

**მუხლი 5[1]. უცხოელი პროფესორის არჩევა (01-15, 14.02.2020)**

1. უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე (ასევე, უცხოეთში მოღვაწე პროფესორი) პირის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხდება კონკურსში პირდაპირი მითითებით. კონკურსში განიხილება კანდიდატი, რომელსაც განათლება მიღებული აქვს ევროპის, ამერიკის, და სხვა განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებში ან/და აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები დარგში/უდასტურდება უცხოურ უნივერსიტეტებში მოღვაწეობის გამოცდილება.

2. პროფესორობის უცხოელი კანდიდატის არჩევა ხდება ამ წესით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, გარდა ამ მუხლში აღნიშნული გამონაკლისებისა.

3. პროფესორობის უცხოელი კანდიდატისათვის სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;

გ) ერთი ფოტო სურათი 3*4;

დ) უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომების ასლები;

ე) პერსონალური ინფორმაცია - CV;

ვ) ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია;

4. უცხოელი კანდიდატი, რომელიც კონკურსის წესით აირჩევა აკადემიურ თანამდებობაზე, მისი დიპლომის აღიარებას ახდენს უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

**მუხლი 6. კონკურსის ჩატარება**

1. საკონკურსო კომისია კონკურსს ატარებს ორ ეტაპად, რისთვისაც განსაზღვრული აქვს ვადა 3-დან 6 დღემდე. **(01-24, 11.03.2022)**

2. პირველ ეტაპზე ხდება კონკურსანტთა მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება და კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, ხოლო მეორე ეტაპზე - გასაუბრება.

3. თუ გამოცხადებულ ვაკანსიებზე რეგისტრირებულ კანდიდატთა რაოდენობის გათვალისწინებით არ შეიქმნა კონკურსი, კომისიას უფლება აქვს, მხოლოდ პირველი ეტაპის გავლის შემდეგ, მეორე ეტაპის ჩატარების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება კანდიდატთა აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ.

4. თუ გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებზე რეგისტრირებულ კანდიდატთა რაოდენობის გათვალისწინებით შეიქმნა კონკურსი, კანდიდატის უპირატესობა განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა. გამოცდილება იმ მიმართულებაში ან/და სპეციალობაში, რომელშიც სურს აკადემიური თანამდებობის დაკავება;

ბ. სამეცნიერო აქტივობა და აქტუალობა; **(01-15, 14.02.2020)**

გ. პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება; **(01-15, 14.02.2020)**

დ. სპეციალური მომზადება, რაც მტკიცდება შესაბამისი სერტიფიკატებით;

ე. უცხო ენების ცოდნა **(02-314, 30.07.2016)**

5. კონკურსანტის შემთხვევაში, რომელსაც აღნიშნულ კონკურსამდე არ ქონია აკადემიური დატვირთვა უნივერსიტეტში, კონკურსის მეორე ეტაპზე, კომისიის მოთხოვნა შეიძლება იყოს საჩვენებელი ლექციის ჩატარება. **(01-24, 11.03.2022)**

**მუხლი 7. კონკურსის შედეგები**

1. საკონკურსო კომისია მუშაობის დასრულების შემდეგ ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

2. კომისიის ოქმის საფუძველზე გამოიცემა რექტორის ბრძანება აკადემიურ თანამდებობებზე კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატთა არჩევის შესახებ.

3. ბრძანებაში აუცილებელია მითითებულ იქნას კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და ვადები.

**მუხლი 8. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

1. ამ წესის ამოქმედებამდე აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ, მოქმედ ასისტენტ-პროფესორზე, აკადემიურ თანამდებობაზე დარჩენილი ვადის ამოწურვამდე, არ ვრცელდება ასისტენტ-პროფესორისათვის ამ წესით დადგენილი მოთხოვნები.

2. წინამდებარე წესში, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.